# 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

2023 წელი

თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსა და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ - „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მომსახურების სააგენტოს“ 2022 წლის 12 თვის ბიუჯეტი განისაზღვრა **4 618 134** ლარით. საიდანაც, საკასო შესრულებამ შეადგინა 4 519, 354, 07 ლარი.
შესრულების პროცენტული მაჩვენებელი **97,86%**

უშუალოდ სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტმა შეადგინა - **3 944 035** ლარი, საკასო შესრულება **- 3 888 738** ლარი. ბიუჯეტის წლიური შესრულების პროცენტული მაჩვენებელი - **98.6 %.**

სსიპ - „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოს“ 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა - **674099,00** ლარით. საიდანაც საკასო შესრულებამ შესრულებამ შეადგინა- **630,616.07** ლარი. ბიუჯეტის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი - **93.55 %.**

**სამინისტროს ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები**

**1. დევნილთა ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამა და მისი ქვეპროგრამები**
1.1 დევნილთა საცხოვრებლებში მცირე ფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
1.2 ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობის ქვეპროგრამა;
1.3 დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
1.4 აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამა.

**2. დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა;**
**3. დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა;**
**4. აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერის პროგრამა;**
**5. აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანება/აბონირების პროგრამა;**
**6. სოციალური სოლიდარობის პროგრამა.**

**პროგრამების მიხედვით განხორციელებული საქმიანობა**

1. **დევნილთა ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამა და მისი ქვეპროგრამები (პროგრამული კოდი 11 04):**
პროგრამა ითვალისწინებს:

- დევნილთა განსახლების ადგილებში 2000 ლარამდე ღირებულების მცირე და გადაუდებელი სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარებას;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წარდგენილი განაცხადის შესაბამისად, მუნიციპალური ორგანოების მიერ დაფინანსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში სამინისტროს თანადაფინანსებას ამხანაგობის წილობრივი თანამონაწილეობის ფარგლებში;
- დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას (მათ შორის, წყალკანალიზაციის სისტემის, სახურავების აღდგენა/რეაბილიტაცია);
- დევნილი შეჭირვებული ოჯახების სამშენებლო/სარემონტო მასალებით დახმარებას.

კერძოდ:

**1.1 დევნილთა საცხოვრებლებში მცირე ფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 11 04 01)**

- 12 თვის ფინანსური რესურსი - **30 000** ლარი, ბიუჯეტის კორექტირების შემდგომ 24 030 ლარი;
- ათვისებული თანხა - **24 028.58** ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი - **100 %.**

სამინისტროს მიერ შესწავლილ/აღწერილ იქნა დევნილთა განსახლების ადგილებში შექმნილი მდგომარეობა შემოსული განცხადებების მიხედვით. შესაბამისი სპეციალისტების მიერ შესწავლილ

იქნა  დევნილთა განსახლების ადგილებში შესასრულებელი მცირე და გადაუდებელი სამუშაოები, კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პრიორიტეტულად შერჩეულ ობიექტებზე მოსამზადებელი სამუშაოების წარმოებაზე.

ქვეპროგრამისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხიდან **7 089.42 ლარით** ანაზღაურდა 2021 წელს შესრულებული სამუშაო (4 დევნილთა განსახლების ადგილებში), ხოლო **16 939.16** ლარით ანაზღაურდა 2022 წლის I-IV კვარტლის გეგმით განსაზღვრული სამუშაოს შესრულება **9** დევნილთა საცხოვრებელში. ქვეპროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესდა 2034 დევნილ ოჯახს.

**განმარტება:** დევნილთა საცხოვრებლებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 01) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან:
ა) **2 970** ლარი გადატანილ იქნა  დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის  (პროგრამული კოდი 11 05)  მეოთხე კვარტალში;
ბ) **3 000** ლარი გადატანილ იქნას აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერის პროგრამის  (პროგრამული კოდი 11 09) მეოთხე კვარტალში.

**1.2 ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობის ქვეპროგრამა (ქვეპროგრამის კოდი 11 04 02)**

- 12 თვის ფინანსური რესურსი - **20 000** ლარი, ბიუჯეტის კორექტირების შემდგომ **52 985 ლარი;**
- ათვისებული თანხა - **52 984.87** ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი - **100.0%**

**აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში:**
ა) საგრანტო კონკურში გამარჯვებული ა(ა)იპ - „საქველმოქმედო ფონდ აფხაზეთის“ მიერ სამინისტროს დაფინანსებით (44 214 ლარი):

- ✓ შემუშავდა და შეიქმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საინფორმაციო ბაზა. შეიქმნა 31 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა. (მათგან, 14 - იმერეთში; 13 - სამეგრელოში და 4 - აღმოსავლეთ საქართველოში).
- ✓ საინფორმაციო ბაზის ფარგლებში, შეიქმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის საინფორმაციო პლატფორმა, ვებ-საიტი - www.bma.ge. ვებ-პლატფორმა არის საქართველოს ინტერნეტ სივრცეში არსებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პირველი საინფორმაციო საშუალება, რომელიც გარდა იმისა, რომ დევნილთა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების რეგისტრაციის საშუალებას იძლევა, ასევე, წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მართვის ეფექტურ საინფორმაციო საშუალებას.
- ✓ ახალ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებს და მათ წარმომადგენლებს ჩაუტარდათ შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები.
- ✓ შეიქმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ქსელი, რომელიც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა- დევნილთა განსახლების ობიექტებშია ჩამოყალიბებული და საწყის ეტაპზე აერთიანებს 50 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას.
- ✓ 30 დევნილთა ამხანაგობას გაეწია დახმარება თანადაფინანსების პროექტის შედგენაში და მიეწოდა ინფორმაცია, თუ როგორ წარადგინონ პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალურ ხელისუფლების პროგრამებში.

ბ) ბორჯომის მუნიციპალიტეტში (რუსთაველის ქ. №107) - განხორციელდა სამგზავრო ლიფტის მოწყობის თანადაფინანსება 1 470.82 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს მთელი ღირებულების 10%-ს;
გ) ქუთაისის მუნიციპალიტეტში (დ. აღმაშენებლის გამზირი N112/4) - განხორციელდა სამგზავრო ლიფტის მოწყობის თანადაფინანსება 5 996.05 ლარით, რაც წარმოადგენს მთელი ღირებულების 10%-ს.
დ) ქუთაისის მუნიციპალიტეტში (ოცხელის ქ. №2) განხორციელდა 5 ცალი ძელსკამის შეძენა-მონტაჟისთვის საჭირო თანხის 20%-ის თანადაფინანსება – 420 ლარის ოდენობით;

ე) ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ბარამიას ქ. №46, კორპუს №3-ში განხორციელდა წყალმომარაგების სისტემის წყალსაქაჩი ტუმბოს მონტაჟის თანადაფინანსება 884 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს მთელი ღირებულების 5%-ს.

**განმარტება:**

ა) დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 03) მეორე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან, ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 11 04 02) პირველ კვარტალში გადატანილ იქნა **30 000 ლარი;**

ბ) აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 06 ) პირველ კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან, ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 11 04 02) პირველ კვარტალში, გადატანილ იქნა **2 105 ლარი;**

გ) სოციალური სოლიდარობის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 12) მესამე კვარტალში არსებული თანხა **880** ლარი გადატანილ იქნა ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 11 04 02) მეოთხე კვარტალში.

**1.3 დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (ქვეპროგრამის კოდი 11 04 03)**

- 12 თვის ფინანსური რესურსი - **210 652** ლარი, ბიუჯეტის კორექტირების შემდგომ **175 022** ლარი;
- ათვისებული თანხა - **147 872** ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი - **84.49%.**

სამინისტროსა და სსიპ - „ეკონომიკური პროგრამების სააგენტოს“ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სააგენტოს მიერ გაწეულ იქნა მომსახურება 142 336,00 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო არქიტექტურული, საინჟინრო და დაგეგმარების მომსახურების დეფექტური აქტების, ხარჯთაღრიცხვისა და პრეისკურანტების მომზადების მიზნით (2 518 ლარი).

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანიები: ჩატარებული სამუშაოების შედეგად საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესდა 4000-მდე დევნილს.

| № | შესრულებელი სამუშაო | სამუშაოს ღირებულება (ლარში) | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, რუსთავის ქ. 137-ში -შენობის კედლის ნაწილის თბო-იზოლაციით შეფუთვა | 15 641.04 | |
| 2 | ხონის მუნიციპალიტეტი, აფხაზეთის ქ. კორპ. 102-ში შენობის დასავლეთ კედლის მთლიანად ძველი ნალესის მოხსნა და ხელახლა შელესვა | 25 635.08 | |
| 3 | დევნილთა განსახლების ობიექტებში **(7 ობიექტი)** სახურავის აღდგენა/რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარება | 49 712. 69 | |
| 4 | წყალკანალიზაციის აღდგენა/რეაბილიტაცია (6 ობიექტი) | | სამუშაო შესრულდა, თუმცა კომპანიამ ვერ წარმოადგინა საბოლოო შესრულების ექსპერტიზის დასკვნა, რის გამოც არ განხორციელდა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ანგარიშსწორება 21 000 ლარის. |

**განმარტება:**
ა) დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 03) მეორე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან, ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 11 04 02) პირველ კვარტალში გადატანილ იქნა **30 000 ლარი;**
ბ) დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 03) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **5 630** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;

**1.4 აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამა (ქვეპროგრამის კოდი 11 04 06)**

- 12 თვის ფინანსური რესურსი **- 25 000 ლარი, ბიუჯეტის კორექტირების შემდგომ 24 222** ლარი;
- ათვისებული თანხა - **24 221.10** ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი - **99.05 %;**

სამინისტროს მიერ შესწავლილ/აღწერილ იქნა დევნილთა განსახლების ადგილებში არსებული მდგომარეობა შემოსული განცხადებების შესაბამისად და დადგენილ იქნა ბენეფიციართათვის გადასაცემი სამშენებლო მასალების სახეობები.

ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებული 12 თვის ფინანსური რესურსიდან 13 456 ლარით ანაზღაურდა 2021 წელს ბენეფიციართათვის გადაცემული სამშენებლო მასალების ღირებულება, რომლის გადახდა 2021 წელს (დეკემბერში) ვერ განხორციელდა. ხოლო 10 765.1 ლარით ანაზღაურდა 2022 წელს ბენეფიციართათვის გადაცემული სამშენებლო მასალების ღირებულება. დახმარების მიმღებთა რაოდენობა შეადგენს **30** ოჯახს.

**განმარტება:**
ა) აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 06 ) პირველ კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან, ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 11 04 02) პირველ კვარტალში, გადატანილ იქნა **2 105 ლარი;**
ბ) სოციალური სოლიდარობის პროგრამისათვის - (პროგრამული კოდი 11 12) მეორე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამის მეორე კვარტალში გადატანილ იქნა **2 925** ლარი;
გ) აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 06 ) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **398** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;
დ) აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 06 ) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **1 200** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;

**2. დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 11 05)**

- 12 თვის ფინანსური რესურსი - **200 000** ლარი, ბიუჯეტის კორექტირების შემდგომ **250 345** ლარი;
- ათვისებული თანხა - **250 345** ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი - **100 %;**

- დაკმაყოფილებულ ბენეფიციართა რაოდენობა - **1 410.**

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემით შესაბამისი კრიტერიუმების მქონე პირთათვის. სამინისტროში ჩატარდა 19 კომისიის სხდომა სადაც განხილულ იქნა შემოსული განცხადებები ერთჯერადი ფულადი დახმარების მიღების მიზნით. **ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 1 410 ბენეფიციარს.**

**განმარტება:**

ა) სოციალური სოლიდარობის პროგრამისათვის - (პროგრამული კოდი 11 12) მესამე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის მესამე კვარტალში გადატანილ იქნა 15 000 ლარი;

ბ) სოციალური სოლიდარობის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 12) მესამე კვარტალში არსებული თანხა 2 120 ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მესამე კვარტალში;

გ) აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანობა/აბონირების პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 10) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან 7 000 ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2022 წლის 2 ნოემბრის №96 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროსათვის თანხის 15 000 ლარის გამოყოფის შესახებ, რომლითაც დაფინანსთა ბენეფიციარები დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;

ე) აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 06 ) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **1 200** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;
ვ) აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანობა/აბონირების პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 10) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **750** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;
ზ) აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 06 ) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **398** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;
თ) დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 03) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **5 630** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;
ი) დევნილთა საცხოვრებლებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 01) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **2 970** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;

კ) სოციალური სოლიდარობის პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 12) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **277** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში.

**3. დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 11 08)**

- 12 თვის ფინანსური რესურსი - **40 000** ლარი, ბიუჯეტის კორექტირების შემდგომ **46 000** ლარი;
- ათვისებული თანხა - **46 000** ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი - **100.0%;**
- დაკმაყოფილებულ ბენეფიციართა რაოდენობა - **112.**

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად მძიმე კატეგორიის ოჯახებისათვის საცხოვრებლის დაქირავებისთვის საჭირო თანხით (300 ლარამდე) უზრუნველყოფას სამიდან ექვს თვემდე ვადით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ბენეფიციართა საცხოვრებელ ფართებზე ვიზიტი, ჩატარდა 8 კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა სამინისტროში შემოსული განცხადებები. საცხოვრებელი ქირა დაუფინანსდა **112** ოჯახს.

**განმარტება:**

**ა)** აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანობა/აბონირების პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 10) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **3 000 ლარი** გადატანილ იქნა დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 08) მეოთხე კვარტალში;

ბ)სოციალური სოლიდარობის პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 12) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **3 000** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა დროებითი საცხოვრებელით უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 08) მეოთხე კვარტალში;

**4. აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 11 09)**

- 12 თვის ფინანსური რესურსი - **45 000** ლარი, ბიუჯეტის კორექტირების შემდგომ 48 000 ლარი;
- ათვისებული თანხა - **48 000** ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი - **100.0%**
- დაკმაყოფილებულ ბენეფიციართა რაოდენობა - **337.**

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად მძიმე კატეგორიის ომისა და სამხედრო/თავდაცვის ვეტერანთა ერთჯერად დახმარებას. ერთჯერადი დახმარება გაეწია **337** ბენეფიციარს.

**განმარტება:**
ა) დევნილთა საცხოვრებლებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 04 01) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **3 000** ლარი გადატანილ იქნა აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 09) მეოთხე კვარტალში.

**5. აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანება/აბონირების პროგრამა (პროგრამული კოდი 11 10)**

- 12 თვის ფინანსური რესურსი - **30 000** ლარი, ბიუჯეტის კორექტირების შემდგომ **19 250** ლარი;

- ათვისებული თანხა - **19 250** ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი - **100.0 %.**
- დაკმაყოფილებულ ბენეფიციარტა რაოდენობა - **21.**

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად მძიმე კატეგორიის ოჯახებისათვის საცხოვრებელ ფართებზე გამრიცხველიანება/აბონირებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 21 აბონირება/გამრიცხველიანება.

**განმარტება:**
ა) აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანობა/აბონირების პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 10) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან 7 000 ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში;
ბ) აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანობა/აბონირების პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 10) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **750** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში.
გ) აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანობა/აბონირების პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 10) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან 3 000 ლარი გადატანილ იქნა დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 08) მეოთხე კვარტალში;

**6. სოციალური სოლიდარობის პროგრამა (11 12)**

- 12 თვის ფინანსური რესურსი -**68 750** ლარი, ბიუჯეტის კორექტირების შემდგომ **44 548** ლარი;
- ათვისებული თანხა - **44 547.50** ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი - **100.0%;**
- დაკმაყოფილებულ ბენეფიციართა რაოდენობა - **948.**

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად მძიმე მდგომარეობის მქონე აფხაზეთიდან დევნილ პირთათვის სადღესასწაულო დღეებში საჩუქრების გადაცემას. რომლის ფარგლებში 473 ბენეფიციარს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცა სასურსათო ნობათი აფხაზეთის ა/რ მთავრობის თანადგომით. საახალწლოდ შესყიდულ იქნა 475 ბენეფიციარისათვის გადასაცემი სასურსათო კალათი. ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით სამინისტროს მიერ შესყიდული კალათები შეივსო 2 სახეობის პროდუქტით (თაფლი და გოზინაყი), ასევე, კალათების რაოდენობა გაიზარდა 730 კალათამდე.

**განმარტება:**
ა) სოციალური სოლიდარობის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 12) მესამე კვარტალში არსებული თანხა 880 ლარი გადატანილ იქნა ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 11 04 02) მეოთხე კვარტალში.
ბ)სოციალური სოლიდარობის პროგრამისათვის - (პროგრამული კოდი 11 12) მესამე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის მესამე კვარტალში გადატანილ იქნა 15 000 ლარი;

გ) სოციალური სოლიდარობის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 12) მესამე კვარტალში არსებული თანხა 2 120 ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მესამე კვარტალში;

დ) სოციალური სოლიდარობის პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 12) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **277** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 05) მეოთხე კვარტალში.

ე) სოციალური სოლიდარობის პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 11 12) მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან **3 000** ლარი გადატანილ იქნა დევნილთა დროებითი საცხოვრებელით უზრუნველყოფის პროგრამის (პროგრამული კოდი 11 08) მეოთხე კვარტალში.

ვ) სოციალური სოლიდარობის პროგრამისათვის - (პროგრამული კოდი 11 12) მეორე კვარტალში გათვალისწინებული თანხიდან აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარების ქვეპროგრამის მეორე კვარტალში გადატანილ იქნა **2 925** ლარი.

7. **დევნილთა სამართლებრივი მხარდაჭერის მიმართულებით:**

შემოვიდა 114 კორესპონდენცია, რომელიც შეეხებოდა დევნილებისათვის შუამდგომლობების გაწევას შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში. დევნილთა მხრიდან მომართვიანობის ინტერესი გამოიხატებოდა, მათ მიერ შევსებული განაცხადების რეაგირებაზე დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში. შესაბამისად, მომზადდა შუამდგომლობები/მიმართვები სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში, სადაც დევნილებს უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან, დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის შესაბამისად, განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები. სამართლებრივი მხარდაჭერის სამმართველომ სამართლებრივი მხარდაჭერა აღმოუჩინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრებს, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და მათ შორის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს. ძირითადად სამართლებრივი დახმარებები ემსახურებოდა სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის მომზადებას შრომითი სტაჟის დადგენის ნაწილში, უდავო წარმოების წესის შესაბამისად, სასამართლოში განცხადების მომზადებას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენაზე და ზეპირი სამართლებრივი ხასიათის კონსულტირებას. ასევვე, უკრაინაში გამართული საომარი მოქმედების შედეგად, სამინისტროში იმატა აფხაზეთის მკვიდრი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მომართვიანობამ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით. გამომდინარე აქედან მათ გაეწიათ შესაბამისი სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები და თავიანთი უფლებების განსახორციელებლად გადამისამართნდნენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში.

**სამინისტროს უფლებამოსილების შესაბამისად განხორციელებული სხვა სახის ღონისძიებები:**

- სსიპ - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან“, სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტოსთან“ და სხვა შესაბამის დაწესებულებებთან თანამშრომლობით (პერსონალურ მონაცემთა მიღება/გაცვლის კუთხით) წარიმართა მუშაობა დევნილთა მონაცემთა ელექტრონული ბაზის სრულყოფის მიზნით.
- კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომლობა - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ გასამხედროებული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობასთან.
- სამინისტროს კომპეტენციების გათვალისწინებით, უფასოსამართლებრივიკონსულტაციაგაეწია - **785**პირს.
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიგზავნა 154 შუამდგომლობის განცხადება, დევნილთათვის გეგმური ოპერაციების თანადაფინანსებასა და მრტ კვლევასთან დაკავშირებით.

**დევნილის სტატუსისა და მოქალაქეობის აღდგენა/მინიჭების საკითხებზე:**

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისა და/ან ფოტოიდენტურობის დამადასტურებელი კომისიების მიერ (იხ. დანართი N1):

- განხილულ იქნა **899** განცხადება;
- მიღებულ იქნა **851** დადებითი გადაწყვეტილება;
- **40** უარყოფითი გადაწყვეტილება;
- ადმინისტრაციულ წარმოებაშია **3** განცხადება;

- შეჩერებულია წარმოება/არ გამოცხადდა - **5**.

**წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის მიმართულებით:**

- **საგაზაფხულო გაწვევის ფარგლებში:**

მიღებული გეგმა-გრაფიკების თანახმად, წვევამდელი ასაკის მქონე 74 პირი, სამხედრო ვალდებულების მოხდის მიზნით, ჩარიცხულ იქნა გასამხედროებულ ქვედანაყოფებში.
ალტერნატიულ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულია - 4 პირი, გაწვევიდან გადავადების მოსაკრებელი (2 000 ლარი)გადაიხადა -16-მა პირმა (იხ. დანართი N2)

- **საშემოდგომო გაწვევის ფარგლებში:**

წვევამდელი ასაკის მქონე 85 პირი, სამხედრო ვალდებულების მოხდის მიზნით, ჩარიცხულ იქნა გასამხედროებულ ქვედანაყოფებში. ალტერნატიულ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულია 7 პირი, გაწვევიდან გადავადების მოსაკრებელი (2 000 ლარი) გადაიხადა 11-მა პირმა. (დანართი N**3**):

**ჰუმანიტარული დახმარება**

„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კომისიისაგან (IHRC)“ მიღებული სათამაშოები და სხვა სახის საქონელი გადაეცა:

- აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ - **5300-მდე** ოჯახს;
- იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ - **1700**-მდე ოჯახს;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრებ - **6900-მდე** ოჯახს.

ამასთან, სამედიცინო დაწესებულებებთან ერთბლივად ჩატარებული აქციის ფარგლებში, ოფთალმოლოგის დანიშნულებით შესაბამისი სათვალეები გადაცა:

- აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ **5200** დევნილს;
- იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ **205** დევნილს;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრებ **6400** დევნილს.

**გაფორმებული მემორანდუმები:**

- მემორანდუმი „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კომისიის ფონდთან“ - მემორანდუმი მიზნად ისახავს არსებული ურთიერთთანამშრომლობის უფრო გაღრმავებას იძულებით გადაადგილებულ და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფისა და ჰუმანიტარული პროგრამების/პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებებით;
- მემორანდუმი სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან - მემორანდუმი მიზნად ისახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ომში და ომის შემდგომ დაღუპულთა/გარდაცვლილთა ოჯახის წევრების მიმართ სოციალური მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების ხელშეწყობას.

**საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობა შეეხო 17500-მდე ბენეფიციარს.**

## სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტო”

**სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.**

სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მომსახურების სააგენტო” (შემდგომში-,,სააგენტო”) მიზნად ისახავს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის სოციალური შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობას, მათთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას კანონით განსაზღვრული უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ, ახალი ღონისძიებების და პროგრამების დაგეგმვას, რომლებიც მიმართული იქნება მათი ყოველდღიურობის გაუმჯობესებისკენ.

**სააგენტოს აპარატი (პროგრამული კოდი - 11 13 01)**

- ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი - 344 099,00 ლარი;
- ათვისებული თანხა - 328 106,55 ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი- 95,35 %.

**სააგენტოს ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:**

**1.1.**დევნილთა კომპაქტური განსახლების იბიექტებში საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 11.13.03);
**1.2**.იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა იურიდიული მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 11 13 04);
**1.3.** დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი - 11 13 05);
**1.4.** დევნილთა მომსახურების ცენტრების პროგრამა (პროგრამული კოდი 11 13 06).

**1.1. დევნილთა კომპაქტური განსახლების იბიექტებში საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 11.13.03)**

12 თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი - 30000 ლარი;
ათვისებული თანხა - 29729,00 ლარი;
ათვისების პროცენტული მაჩვენებელი - 99.09 %.
**<u>მიღწეული შედეგები:</u>**
2022 წელს 30-მდე ობიექტზე შესრულებულია რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ფართების იდენტიფიკაცია, შესრულებული აზომვითი ნახაზების მონიტორინგი და ასევე მათი საკადასტრო ნომრების დაზუსტება/განახლება. (ბიუჯეტის ამოწურვის გამო აღნიშნული პროგრამა III და IV კვარტლებში არ ფუნქციონირებდა). ამასთან, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს შორის სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით.

**1.2. იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა იურიდიული მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 11 13 04);**

- 12 თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი-20000 ლარი
- ათვისებული თანხა - 17942,86 ლარი
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი-89.72 %;

**მიღწეული შედეგები** სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მიზნით საანგარიშო პერიოდში დევნილთა მომსახურების სააგენტოში შემოვიდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის-დევნილის, 150-მდე განცხადება.
**აქედან სამართლებრივი დახმარება გაეწია:**
● შრომითი სტაჟის დადგენაზე **50-მდე ბენეფიციარს;**
● იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებზე **150- მდე ბენეფიციარს;**
● დევნილის სტატუსის მაძიებელი პირებიდან **35-მდე ბენეფიციარს;**
● გრძელვადიანი საცხოვრებელით უზრუნველყოფის ღონიძიების ფარგლებში **100-ამდე ბენეფიციარს;**

**1.3. დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი - 11 13 05);**

- 12 თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი - 130000 ლარი
- ათვისებული თანხა - 125 957,91 ლარი;
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი- 96.89%;

**მიღწეული შედეგები:**

- 2 დღიანი პროექტი სახელწოდებით - "შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს", ჩატარების ადგილი: საირმე, მიზნობრივი ჯგუფი: აფხაზეთიდან დევნილი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსის მქონე 40-მდე ბავშვისა და მათი მშობლები; თარიღი: 16-17 მარტი;
- „არაკომერციული პროექტებისათვის ფონდების მოძიება (Fundraising) და მართვა"-ს ფარგლებში 2022 წლის 12-13 აპრილს განხორციელდა ტრენინგი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით.;
- 16 აპრილს საქართველოს კარატეს ეროვნულ ფედერაციისა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზატორობით ჩატარდა ტრადიციული „კასპის ღია ტურნირი კარატეში", ჩატარების ადგილი: კასპი; დაესწრო 15 სპორტსმენი;
- 2022 წლის პირველ მაისს სააგენტოს მხარდაჭერითა და ასოციაცია „ჩვენი"-ს ორგანიზებით სასტუმრო „ბილტმორში" აფხაზეთიდან დევნილი და უკრაინიდან ლტოლვილი ბავშვებისთვის განხორციელდა პროექტი „მშვიდობა მსოფლიო ბავშვებს", რომლის ფარგლებშიც აკადემია „გვირილას" მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.
- 23 მაისს აფხაზეთობასთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით და სააგენტოს ჩართულობით მთაწმინდის პარკში სხვადასხვა სახის ღონისძიებები გაიმართა
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 27 მაისს სსიპ სააგენტოს მხარდაჭერითა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება „ავანგარდი თუ დამოუკიდებლობა" გამოფენა-პერფორმანსი, რომელიც ეძღვნებოდა ოკუპაციას;
- სააგენტოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და ორგანიზაცია „ჯანმრთელი მომავლის" ორგანიზებით, 301 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, მიმდინარე წლის 17-18-19 ივნისს, ქ. ზუგდიდში, სოფელი რუხის სამედიცინო ცენტრში, 500-მდე დევნილს უფასო მრავალპროფილური სკრინინგული გამოკვლევები ჩაუტარდათ და გადაეცათ შესაბამისი მედიკამენტები.
- 23-24-25 ივნისს, პროექტ ,,აფხაზეთობა აჭარაში" დაკავშირებით განახორციელა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლების ფარგლებშიც ჩატარდა ჩატარდა სხვადასხვა ტიპის კულტურული აქტივობები; გაიმართა დოკუმენტური ფილმის „აღმოაჩინე აფხაზეთი" ჩვენება 100-ამდე მოწვეული სტუმრისათვის (მათ შორის - 20 ეთნიკურად აფხაზი); დევნილ ბავშვებს გადაეცათ სათამაშოები.
- 18 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით, საქართველოს საპატრიარქოს სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის განათლების ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელდა **პროექტი საზაფხულო სკოლა „მომავლის ელჩები"**. *პროექტში ჯამში 30 მოსწავლე, მათ შორის 18 იძულებით გადაადგილებული პირი იყო ჩართული.* პროექტის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებები. მოწვეულ სტუმრებს წარმოადგენენ: 45 დევნილი, მათ შორის სოციალურად შეჭირვებული ბავშვი (13-დან 15 წლამდე) და 5 მშობელი.*საზაფხულო სკოლის ბენეფიციარებმა შეიძინეს ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა:* ეფექტური კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, კონფლიქტების მართვა, გუნდური მუშაობა, ინფორმაციის დამუშავება და ალანიზი, სტრესის მართვა, პროექტის წერა და სხვა.

- სააგენტომ აკვაპარკ ,,ჯინო ფერედაისთან" თანამშრომლობით და კომპანიის მხრიდან გამოჩენილი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მიმდინარე წლის 25 ივლისს, აკვაპარკის ტერიტორიაზე აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის განახორციელა **სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება 50-მდე დევნილი ბავშვისათვის**.
- სააგენტოს მიერ სსიპ ,,კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოსთან" ერთად განხორციელდა პროექტი **,,ევროპული არდადეგები"**, რომელშიც ინტეგრირდა როგორც საგანმანათლებლო, ისე კულტურულ-შემეცნებითი კომპონენტები: ჩატარდა 3 სემინარი, რომელთა ხანგრძლივობამ შეადგინა 2-2,5 საათი; ბენეფიციარებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ მიმდინარე ისტორიულ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორი ინფორმაცია დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესის უპირატესობებთან დაკავშირებით; სამივე ციკლის ფარგლებში პროექტში მონაწილეობა მიიღო 300-მა ახალგაზრდამ.
- სააგენტოს ორგანიზებით და აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა **,,დიალოგი მშვიდობისათვის"** კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებაზე სამსჯელოდ. ,,დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა მხარდაჭერის" პროგრამის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მოიცავს ქართული და აფხაზური საზოგადოების, აკადემიური პერსონალის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორის როლის გააქტიურებას შერიგების, ნდობის მშენებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებში, სააგენტომ სამინისტროსთან თანამშრომლობით დაგეგმა მორიგი კონფერენცია, რომელიც სწორედ აღნიშნული მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა.*ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები და მოზარდები.*
- 11 დეკემბერს სააგენტოს და ა(ა)იპ "ასოციაცია ჩვენ"-თან თანამშრომლობით ქ.თბილისში მდებარე ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის დრამატული თეატრში გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება **,,მშვიდობიანი გარემო". ღონისძიების ფარგლებში** დევნილი მოზარდებისათვის ჩატარდა წინასაახალწლო კონცერტი.
- სააგენტოს მიერ აკადემია "გულანთან" თანამშრომლობით მიმდინარე წლის 20 დეკემბერს ქ. ყვარელში ი.ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა აფხაზეთისადმი მიძღვნილი ღონისძიება **,,გვახსოვს აფხაზეთი"**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის და ღვაწლმოსილი დევნილების დაჯილდოვების, მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით.
- მიმდინარე წლის 21 დეკემბერს, სასტუმრო ,,ტიფლის პალასში" სააგენტოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს თანამშრომლობით, კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებაზე სასაუბროდ გაიმართა მორიგი შეხვედრა სახელწოდებით ,,დიალოგი მშვიდობისთვის". შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ: აფხაზეთის რაიონების შესაბამისი კომპეტენციების მქონე წარმომადგენლები, რომლებმაც წარსულშიც გამოთქვეს მზაობა და მხარდაჭერა აღნიშნულ სამშვიდობო ინიციატივასთან დაკავშირებით.
- სააგენტომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლასთან თანამშრომლობით, მიმდინარე წლის 23 დეკემბერს სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართა ღონისძიება **"ვერთიანდებით მშვიდობისთვის"**. ღონისძიებაზე მოწვეულმა საპატიო სტუმრებმა იხილეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ფერიის საჯარო სკოლის ეთნიკურად აფხაზი მოსწავლეების შემოქმედება და მათ მიერ მომზადებული სპექტაკლიმ ,,სამოთხის ბილეთი“.

- მიმდინარე წლის 25 დეკემბერს სასტუმრო ბილტმორში ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოსა” და ა(ა)იპ ,,ასოციაცია ჩვენ“-თან თანამშრომლობით განხორციელდა ღონისძიება **“მშვიდობა მსოფლიოს”.**
- მიმდინარე წლის 27 დეკემბერს სააგენტოსა და ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთაშორისო ორგანიზაციის” თანამშრომლობით ქ. სენაკში აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრში გაიმართა **“საქველმოქმედო ღონისძიება”**. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ: ***ქ. სენაკში მცხოვრები, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, სოციალურად დაუცველი პირები.***

**1.4. დევნილთა მომსახურების ცენტრების პროგრამა (პროგრამული კოდი 11 13 06)**

- 12 თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი - 150000 ლარი
- ათვისებული თანხა - 128 879,75
- ათვისების პროცენტული მაჩვენებელი 85.91

**მიღწეული შედეგები:**

- ჩატარდა „საერთაშორისო მულტიკულტურული ბანაკი 2022 საბერძნეთში” 2022 წლის 14 ივნისს სააგენტოსა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის ა(ა)იპ ,,სულიერების ცენტრს” შორის გაფორმდა **ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც** სააგენტომ თბილისში არსებული დევნილთა მომსახურების ცენტრის 38 ბენეფიციარებისათვის (8 თანმხლებ პირთან ერთად) განახორციელა პროექტი სახელწოდებით **,,მართლმადიდებლური საერთაშორისო მულტიკულტურული ბანაკი საბერძნეთში”** (2022 წლის 6-20 აგვისტო).
- ქ. ბათუმში დევნილთა მომსახურების ცენტრის ფარგლებში, მ.წ. 27-28 სექტემბერს განხორციელდა ***სხვადასხვა სახის ღონისძიებები*** .
  - აჭარის ა/რ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გაიხსნა **დევნილთა მომსახურების ცენტრი**;
  - აჭარის ა/რ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში დევნილთა მომსახურების ცენტრის გახსნის შემდეგ, ცენტრის ფარგლებში მოხდა ***სააგენტოს პროგრამების პრეზენტაცია*** ცენტრების ბენეფიციარებისათვის;
  - ღონისძიებაზე მოწვეულ იქნენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული დევნილი მოზარდები და მათი მშობლები;
  - 27 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა დევნილთა მომსახურების ცენტრის 40-მდე უფროსკლასელ ბენეფიციართან;
  - აჭარის ა/რ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ღონისძიებას ესწრებოდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ადმინისტრაცია, აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროსა და სააგენტოს წარმომადგენლები;
  - 27 სექტემბერს, ქ. ბათუმში აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრმა და სააგენტოს დირექტორმა სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის პატივი მიაგო.

- ,,დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა მხარდაჭერისა" და "დევნილთა მომსახურების ცენტრების" პროგრამების ფარგლებში დასაქმებულმა პირებმა დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში განახორციელეს სამუშაო ვიზიტები. **აღნიშნული ვიზიტების მიზანს წარმოადგენდ**ა დევნილთა კომპაქტური ჩასახლებებში მცხოვრებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა <u>საჭიროებებისა</u> და <u>პრობლემების კვლევა,</u>რაც ხელს შეუწყობს დევნილთა კომპაქტური ჩასახლებების შესახებ მონაცემთა ბაზის განახლებას. დასაქმებულმა პირებმა წარმოადგინეს 115 მოხსენებითი ბარათი განხორციელებული ვიზიტების თაობაზე.
- 2022 წლის ოქტომბერში, ქ. ბათუმის დევნილთა მომსახურების ცენტრში დაიგეგმა სასწავლო-შემეცნებითი ღონისძიებები. კერძოდ, დევნილი ბენეფიციარებისთვის დაიგეგმა ხატვისა და თეატრალური დასის წრეები, რომლებშიც ბენეფიციარები საჯაროდ ხელმისაწვდომი ბმულის გამოყენებით დარეგისტრირდნენ. ხატვის წრის ბენეფიციარებს 2022 წლის 4 დეკემბერს სააგენტოსაგან გადაეცათ სახატავი მოლბერტები. ქ. ბათუმში მცხოვრები დევნილი ბენეფიციარები აგრეთვე ჩართულნი იყვნენ ინგლისური ენის დისტანციურ ფორმატში მიმდინარე კურსებში. ცენტრის ბენეფიციართა რაოდენობას ჯამში 68 ახალგაზრდა შეადგენს.
- თბილისში, ვაჟა-ფშაველაზე მდებარე სულიერების ცენტრის ტერიტორიაზე განთავსებულ დევნილთა მომსახურების ცენტრში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დევნილი ახალგაზრდების ტრენინგი <u>სამოქალაქო განათლების, ინგლისური ენისა და სხვა საგანმანათლებლო მიმართულებებით</u>. ამასთან, პროგრამაში დასაქმებული თანამშრომლები იკვლევდნენ დევნილი ახალგაზრდების საჭიროებებს და ხვდებოდნენ კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობას.
- სააგენტომ წმინდა ქ. სენაკის ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიასთან ურთიერთთანამშრომლობით ,, ქ. სენაკში მცხოვრები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებული 6-დან 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის დაგეგმა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო სესია:_სულ 8 სესია, შემდეგი მიმართულებებით: არაფორმალური განათლება, STEM, ისტორია, სამოქალაქო განათლება. პროექტში ჩართული იყვნენ დევნილი ბენეფიციარები, ოთხი პედაგოგი და ერთი კოორდინატორი. მოსწავლეთა დასწრებას და ჩატარების ხარისხს უზრუნველყოფდა კოორდინატორი. ბავშვების განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია STEM-ის სესიებმა და ტექნოლოგიის ახალმა მიდგომებმა.
- პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს ინიციატივით მომზადდა არქიტექტურული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. ზუგდიდში ან/და ქ. ბათუმში დევნილთა მომსახურების ცენტრის მშენებლობას თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის ფარგლებში დასახული ამოცანების შესრულებას (იხ. ფოტომასალა დანართი 1).

## საერთაშორისო თანამშრომლობა

- 2021 წელს საგენტომ საქართველოში სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩოსთან თანამშრომლობით, სლოვაკეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოსგან მოიპოვა გრანტი (12050 ევროს ოდენობით), ქალაქ ხონის მე-4 საჯარო სკოლისთვის კომპიუტერული ლაბორატორიის მოსაწყობად. პროექტის ფარგლებში სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღიჭურვა მაგიდის კომპიუტერებით, პრინტერებითა და ტაბლეტებით. კომპიუტერული ლაბორატორიის სრულად აღჭურვა და რემონტი დასრულდა 2022 წელს, ამავე წლის 19 სექტემბერს გაიმართა კომპიუტერული ლაბორატორიის ოფიციალური გახსნა

- 2022 წელს სააგენტომ, საქართველოში სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩოსთან თანამშრომლობით, სლოვაკეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოსგან მოიპოვა გრანტი (5500 ევროს ოდენობით), ქალაქ ქუთაისის ჟიული შარტავას სახელობის მე-6 საჯარო სკოლისთვის სპორტული მოედნის საფარის მოსაწყობად. საგრანტო შეთანხმებას (კოდით No. SAMRS/2022/SG/12/GE) ხელი მოეწერა მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს. აღნიშნული სპორტული მოედნის მოწყობასთან დაკავშირებული სატენდერო პროცედურები დაგეგმილია 2023 წლის გაზაფხულზე.
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების მართვის დეპარტამენტი დაუკავშირდა არასამთავრობო ორგანიზაციას სახელად „EUROSUD“, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს იტალიაში, ქალაქ ბარიში და ახორციელებს ახალგაზრდულ გაცვლით პროექტებს. მათი რეკომენდაციის შესაბამისად სააგენტო დარეგისტრირდა ევროკომისიის ფონდებისა და ტენდერების ოფიციალურ პორტალზე ECAS; მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ ვებ-გვერდზე უკვე ოფიციალურად დარეგისტრირდა სსიპ "აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტო" და მიენიჭა მონაწილის შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდი (PIC) ნომრით ,,884985903". აქტივობის მიზანია, რომ 2023 წელს მოხერხდეს დევნილი ახალგაზრდების იტალიაში გამგზავრება საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების მიზნით.
- ამდენადაც სააგენტოს არ გააჩნია ადამიანური რესურსების მართვისა და საკომუნიკაციო სტრატეგიები, სააგენტომ მიმართა UNDP-ს მხარდაჭერის თხოვნის მიზნით; რამდენადაც წარმოდგენილი საკითხები შეესაბამება კარგი მმართველობის პრინციპებს და UNDP-ს მიზნებს ინსტიტუციურ გაძლიერებასთან მიმართებით;
- 2022 წელს მივიღეთ უკუკავშირი საქართველოში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საელჩოსათვის წარდგენილი საგრანტო წინადადების შესახებ, რომელიც შეეხებოდა მიკრო-პროექტის განხორციელების მიზნით 33,400 ლარის ოდენობის დაფინანსების გამოყოფას წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლებაში კომპიუტერული ოთახის მოწყობის მიზნით. გერმანიის საელჩომ მიმდინარე ეტაპისათვის უარი თქვა აღნიშნული დაფინანსების გამოყოფაზე.
- გარდა ამისა, სააგენტოს ,,დევნილთა მომსახურების ცენტრების" პროგრამის ფარგლებში, დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიების მიზნით, განაცხადი შევიტანეთ ორგანიზაცია "Ockenden International"- ის მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამაზე, რომელიც დევნილთა და ლტოლვილთა ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ წარმატებულ პროგრამებს/პროექტებს აფინანსებს საერთაშორისო მასშტაბით. მიმდინარზე ეტაპისათვის, ორგანიზაციისაგან უკუკავშირი არ მიგვიღია.
- 2022 წელს სააგენტოს მიერ შემუშავებული პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით საპროექტო წინადადება წარუდგინა საერთაშორისო ორგანიზაცია Rotary International-ს. საერთაშორისო ურთიერთბებისა და პროგრამების მართვის დეპარტამენტმა შეიმუშავა საპროექტო წინადადება სახელწოდებით „ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის", რაც მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა პირველადი ჯანდაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას (PHC). ორგანიზაციის პროექტის მენეჯერთან შეთანხმებით, საპროექტო წინადადების ღირებულება განისაზღვრა 128,437 აშშ დოლარის ოდენობით. მიმდინარე ეტაპისათვის დეპარტამენტს საპროექტო წინადადებასთან დაკავშრებით Roraty International-ისაგან მიღებული აქვს პოზიტიური უკუკავშირი, მიუხედავად ამისა, პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ორგანიზაციის მიერ ჯერ არ მომხდარა.

*სააგენტო აქტიურად მუშაობს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და საქართველოში არსებული საელჩოების მიერ გამოცხადებული გრანტების მოძიებაზე, ჯამში იდენტიფიცირებულია 50-ამდე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებთანაც ეტაპობრივად ვამყარებთ კომუნიკაციას და განვიხილავთ სამომავლო თანამშრომლობის გზებს.*

*დანართი 1: ფოტომასალა*